# საქართველო

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**

6831-01-2-202503121438

№ 01/6831
12/03/2025


*ძალიან სასწრაფო*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 11 მარტს ხელი მოეწერა „2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)" №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას".

იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)" და ამავე შეთანხმების 2022 წლის 27 აპრილის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1293-Iს და 2022 წლის 23 ივნისის №1703-VIIIმს-Xმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებაც, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

აღნიშნული წერილ-შეთანხმების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი.

დანართი:
- წერილ-შეთანხმების ხელმოწერილი დედნის ასლი ინგლისურ ენაზე და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
- ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების ხელმოწერილი დედნების ასლები ინგლისურ ენაზე და მათი ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანები;
- საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №446 განკარგულების ასლი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2025 წლის 11 მარტის №63 ბრძანების ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი.

(ჯამი: 72 გვერდი).


0118 თბილისი, შოთა ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge


№ 6174
12 03 25
74

პატივისცემით,
ვლადიმერ კონსტანტინიდი

მინისტრის მოადგილე - მ.შ.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

11 მარტი 2025

N 07-04/16705

**ფრიად სასწრაფო**

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გიგზავნით 2025 წლის 11 მარტს ხელმოწერილ 2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ორიგინალს ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

ამასთან, ზემოაღნიშნული ცვლილების წერილ-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმდგენი და მომხსენებელი იქნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ქალბატონი მზია გიორგობიანი.

დანართი: 71 გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/16705-07-04-2-202503111835

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭედი

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@mrdi.gov.ge

05 მარტი 2025

MRDI N 01/431

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ მიხეილ დუნდუას

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 4 მარტის N07-04/14250 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N888/01; თარიღი: 04/03/2025) პასუხად, რომელიც ეხება 2017 წლის 19 ივნისს საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის ხელმოწერილი სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) N°2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების N°2 ცვლილების წერილი-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი იქნება მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

**ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ**
**ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ**

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

**28 / თებერვალი / 2025 წ.**

KA010179805126325

**№ 2132**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2025 წლის 21 თებერვლის N 07-03/12297 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2017 წლის 19 ივნისს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტით გათვალისწინებულია სასესხო შეთანხმების პირველი დანართის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გზის სარეაბილიტაციო მანძილის 50 კილომეტრიდან - 25 კილომეტრამდე შემცირება, თუმცა უშუალოდ წერილ-შეთანხმების პროექტში არაფერია ნათქვამი სასესხო თანხის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემული საკითხი საჭიროებს კომპეტენტური ორგანოს მიერ დამატებით განხილვასა და შეფასებას.

ამასთან, წარდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ტიპის ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რატიფიკაციის სავალდებულო პირობა.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ/
ᲨᲢᲐᲛᲞᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘᲐ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ

ბექა ძამაშვილი

საქართველო

5301-01-2-202502251532

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/5301
25/02/2025

## დასკვნა

**„2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ პროექტის თაობაზე**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნა:

იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ და ამავე შეთანხმების 2022 წლის 27 აპრილის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1293-Iს და 2022 წლის 23 ივნისის №1703-VIIIმს-Xმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტიც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/747
24/02/2025

747-04-2-202502241458

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

თქვენს 2025 წლის 21 მარტის
N07-04/12305 წერილზე

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა, 2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

ეკატერინე მიქაბაძე

პირველი ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge

ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

ზ. გამსახურდიას სანაპირო №1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

25 / თებერვალი / 2025 წ.

KA020174317951325

№ 09/1356

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-04/12283, 21.02.2025წ.) წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ვახტანგი ცინცაძე

რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@mrdi.gov.ge


25 თებერვალი 2025

MRDI N 01/394

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 21 თებერვლის N07-04/12300 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N783/01; თარიღი: 24/02/2025) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 19 ივნისს საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) (სესხის ნომერი: 3524-GEO) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

**სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

24 თებერვალი 2025

MRDI-RD N 2-15/2254

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,**
**ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს,**

**ქალბატონო ეკატერინე,**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) თქვენი 2025 წლის 21 თებერვლის №07-04/12302 წერილით, დეპარტამენტის დასკვნის მიწოდების მიზნით, წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე, მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად.

გაცნობებთ, რომ დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

21 თებერვალი 2025

N 07-04/12281

**დასკვნა**

**2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის თაობაზე**

2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების გაფორმება საფინანსო ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/12281-07-04-2-202502211654

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი
QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE